სოფიაში რუსეთის ეკლესიის მეტოქიონის წინამძღვარმა კონსტანტიის ეპისკოპოს მიქაელის საქიროტონიო ზეიმში მიიღო მონაწილეობა

2021 წლის 26 სექტემბერს, ბულგარეთის პატრიარქთან მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის წარმომადგენელმა, სოფიაში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეტოქიონის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ვასიანემ (ზმეევი) ლოვჩანის მიტროპოლიტ გაბრიელის მიწვევით, ქალაქ ლოვეჩის წმიდა მოციქულთასწორთა კირილესა და მეთოდეს სახელობის საკათედრო ტაძარში აღსრულებულ საღვთო ლიტურგიაში მიიღო მონაწილეობა.

ღვთისმსახურებისას საეპისკოპოსო ქიროტონია შესრულდა. ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით, ჩეკოტინსკის მონასტრის იღუმენი, არქიმანდრიტი მიქაელი (დილოვსკი) კონსტანტინელის (ქალაქი მაკედონიაში. – რედ.) ტიტულით საეპისკოპოსო ხარისხში

აიყვანეს.

საღვთო ლიტურგიას ლოვჩანის მიტროპოლიტი გაბრიელი წარუძღვა. მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას თანამსახურებდნენ ნევროკოპის მიტროპოლიტი სერაფიმე, სტაროზაგორსკის მიტროპოლიტი კვიპრიანე, ვრაცას მიტროპოლიტი გრიგოლი, ვიდინის მიტროპოლიტი დანიელი, დოროსტოლის მიტროპოლიტი იაკობი, ბულგარეთის ეკლესიის წმინდა სინოდის მთავარი მდივანი მელნის ეპისკოპოსი გერასიმე, პლოვდივის სამიტროპოლიტოს ვიკარიუსი ზნეპოლის ეპისკოპოსი არსენი, სლივენის სამიტროპოლიტოს ვიკარიუსი აგატოპოლის ეპისკოპოსი იეროთეოსი, სოფიის სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი პახუმი (ლოზანოვი), არქიმანდრიტი ვასიანე (ზმეევი), რუმინეთის პატრიარქის წარმომადგენელი სტავროფორული ეკონომოსი ნელუც ოპრია, ნევროკოპის სამიტროპოლიტოს პროტოსინგელოზი არქიმანდრიტი ეპიფანე. სადიაკვნო მსახურებას პროტოდიაკონი იოანე პეტკოვი უძღვებოდა.

ღვთისმსახურების დასასრულს, მელნიშის ეპისკოპოსმა გერასიმემ ბულგარეთის უწმინდესი პატრიარქის ნეოფიტეს კონსტანტიის ეპისკოპოს მიქაელისადმი მიძღვნილი წერილი გააჟღერა.

ლოვჩანის მიტროპოლიტმა გაბრიელმა ახლად არჩეულ იერარქს სასაგზლო სიტყვით მიმართა.

თავის მხრივ, მეუფე მიქაელმა გულწრფელი მადლიერება გამოხატა თავისი სულიერი მოძღვრის, ლოვჩანის მიტროპოლიტ გაბრიელისადმი, ბულგარეთის პატრიარქ ნეოფიტესადმი და წმინდა სინოდისადმი საეპისკოპოსო მსახურებისთვის გამორჩევის გამო.

სოფიაში მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის მეტოქიონი /

სსკგ-კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/88154/